ეროვნული ბიბლიოთეკა

სტადიონზე — მთელი ქვეყანა

11 სექტემბერი მორბენლის საკავშირო დღეა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 174 (7485)

10 1983 წ. სექტემბერი შაბათი.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან




ასეთია სქემა, რომლის მიხედვითაც გაიმართება ეს დიდი ღონისძიება თბილისში





ყველას, ვისაც სურს გაიკაჟოს ჯანმრთელობა, აიმაღლოს გუნება-განწყობილება, ვიწვევთ ბუნების წიაღში, სუფთა ჰაერზე.

მონაწილეობა მიიღეთ სპორტის ამ დღესასწაულში!

9 სექტემბერს ბულგარელმა ხალხმა აღნიშნა ეროვნული დღესასწაული — თავისუფლების დღე

# ბულგარული სპორტის სიახლენი

ფიზიკურ კულტურასა და სპორტს თვალსაჩინო ადგილი უკავია ბულგარული ახალგაზრდობის ცხოვრებაში. უკანასკნელ ხანს აქ აღადგინეს კეთილი ტრადიცია — რაიონული სპორტკლუბების, სკოლების, სასწავლებლების, წარმოება-დაწესებულებათა ბაზაზე ხშირად ეწყობა შეჯიბრებები.

გაჩნდა შეჯიბრებათა საინტერესო ფორმები, რომლებშიც მთელი ოჯახები მონაწილეობდნენ. ამჟამად მზადდება მესამე ტურისტული სპარტაკიადა, რომელსაც ჰქვია „დედა, მამა და მე ტურისტულ ლაშქრობაში". ეჭვგარეშეა, სპარტაკიადა იქნება ყველაზე მასობრივი, რადგანაც ბულგარეთში მრავალი საინტერესო ტურისტული მარშრუტია.

საინტერესო შეჯიბრებებს, უფრო სწორად, კონკურსებს, რომელსაც ჰქვია „სპორტი-ეთიკა-სიმამაცე" ატარებს გაზეთი „ნაროდენ სპორტი" მორიგი პრემიების მინიჭება ერთგვარად უჩვეულოდ მოხდა: მკითხველებს საშუალება მიეცათ გამოეთქვათ აზრი გაზეთში გამოქვეყნებულ 20-ზე მეტ შემთხვევაზე, სადაც აღწერილი იყო ბულგარელ სპორტსმენთა კეთილშობილება და ვაჟკაცობა. გაზეთი სთხოვდა მკითხველს ამოერჩია მათგან ექვსი. აღმოჩნდა, რომ გულშემატკივარი ისევე აფასებს სპორტსმენის სიმამაცეს და თავდადებას, როგორც სპორტულ ორთაბრძოლას თუ ახალ რეკორდს. რედაქციამ მიიღო 1.552 წერილი. ამჯერად გამარჯვებულთა შორის აღმოჩნდნენ ფეხბურთელთა გუნდ „სპარტაკის" (ქ. პლევენის) მეკარე მირჩო ურუკოვი. მან ადამიანი სიკვდილისაგან იხსნა, „ლევსკი-სპარტაკის" კალათბურთელი ოლგიან რუსევი, რომელმაც დახრჩობას გადაარჩინა ორი ბავშვი, ბოტევის (ქ. ვრაცა) ფეხბურთელთა გუნდი, რომელმაც დახმარება აღმოუჩინა ავტოკატასტროფაში მოყოლილ ტურისტთა ჯგუფს.

ბულგარეთში ატარებენ, შეიძლება ითქვას, უნიკალურ შეჯიბრებებს, რომელსაც აგრეთვე „ნაროდენ სპორტი" აწყობს. მას ეწოდება „ფეხბურთის სანიმუშო გულშემატკივარი". მასში მონაწილეობენ ქვეყნის 100-ზე მეტი დასახლებული პუნქტის გულშემატკივრები. კონკურსში ასეთი მაჩვენებლებია: მაყურებელთა საქციელი მატჩის დროს, სტადიონის რადიოპროგრამა, თვალსაჩინო აგიტაცია, გაფორმება, სტუმრების დახვედრა, დამოკიდებულება სტუმართა გუნდისადმი, მსაჯისადმი და ა. შ. პრესა პერიოდულად ბეჭდავს ამ კონკურსის შედეგებს. შესაძლოა სწორედ ამიტომ ფეხბურთის გულშემატკივართა ცუდი მოქცევა უკანასკნელ ხანს ბულგარეთში განსაკუთრებულ იშვიათობად იქცა.

(სოფია).

სოციალისტური ქვეყნების დინამიადა კალათბურთში

# გამოცდა ბრძოლით

**თბილისი. სპორტის სასახლე. 7 სექტემბერი.**

**„დინამო" (თბილისი) — „დინამო" (რუმინეთი) 76:59 (43:28).**

**თბილისი: კაპუსტინი (4), ბოროდაჩოვი (8), სანაძე (6), ბიჭიაშვილი (16), დარსაძე (2), მარჩენკო (6), ბალათურია (4), მილოვიდოვი (4), გიორგობიანი (19), ლიპარტელიანი (7).**

**რუმინეთი: ვასილიკა (17), ბრაბოვეანუ (8), ლეფტერი (9), პანოვიჩი (5), კრისტია, მარინაკსი (4), უგლაი (16), ცზაკისი.**



რუმინელმა კალათბურთელებმა აქამდე ყველა მატჩი წააგეს და ტურნირის ლიდერს მასთან გამარჯვება არ უნდა გასჭირვებოდა. მასპინძლებმა მართლაც იოლად დაამარცხეს მეტოქე. მარტო ის ფაქტი, რომ თითქმის მთელი მეორე ტაიმის განმავლობაში მოედანზე თბილისელთა მეორე ხუთეული — მეტწილად ახალბედები თამაშობდნენ, ნათლად მეტყველებს ძალთა შეფარდებაზე.

მატჩის სასიამოვნო მოულოდნელობა იყო ახალგაზრდა კალათბურთელის გიორგობიანის 19 ქულა, ურიგოდ არ უთამაშიათ ბალათურიასა და სანაძესაც.

მას შემდეგ რაც მეორე ტაიმის დასაწყისში გ. ბიჭიაშვილმა შეასრულა „პროგრამა-მინიმუმი" — 92 ქულა დააგროვა და მიუწვდომელი გახდა მეტოქეთათვის, რომლებიც ბომბარდირის პრიზისთვის იბრძოდნენ, მან „მაყურებლებში" გადაინაცვლა. მაყურებლის როლი ერგო მეორე ტაიმში გ. კაპუსტინსაც. ზ. გრძელიძე საერთოდ არ გამოსულა მოედანზე, ძალზე ცოტა ითამაშა გ. დარსაძემაც. უკვე ამ უბრალო ჩამოთვლითაც ჩანს, რომ მატჩში დაძაბული სპორტული ბრძოლა არ გამართულა. თბილისელებმა, რომ იტყვიან, „ცალი ხელით" მოიგეს ეს შეხვედრაც და მასთან ერთად ტურნირიც, რომელიც, თუმცა, მაინცდამაინც ძლიერი შემადგენლობისა არ იყო, მაგრამ სსრ კავშირის ჩემპიონატის დაწყების წინ მშვენიერ საწვრთნელ შეჯიბრებად კი ნამდვილად იქცა.

ტურნირში II ადგილი დაიკავა ჩეხოსლოვაკიის „რუდე-გვეზდამ", III — პოლონეთის „გვარდიამ".

დინამიადის ორგანიზატორებმა დააწესეს სპეციალური პრიზები მოთამაშეებისთვის, რომლებმაც თავი გამოიჩინეს. ბომბარდირის პრიზი, როგორც უკვე ვწერდით, მოიპოვა **გივი ბიჭიაშვილმა.** საუკეთესო გამთამაშებლის ჯილდო წილად ხვდა **გენადი კაპუსტინს.** საუკეთესო ცენტრის მოთამაშედ დასახელებულია ჩეხოსლოვაკიის გუნდის წევრი **სტანისლავ კროპილაკი,** საუკეთესო თავდამსხმელად — პოლონელი **დარიუშ რეკუნი,** მცველად — ბულგარელი **ვალენტინ შარკოვი.** ყველაზე ახალგაზრდა მონაწილისთვის დაწესებული პრიზი 17 წლის რუმინელი **გერასიმ ცზაკისის** საკუთრება გახდა.

გ. ირემაძე.

• • •



**სურათებზე: სოციალისტური ქვეყნების დინამიადაში გამარჯვებული თბილისის „დინამოს" კალათბურთელთა გუნდი; რუმინეთის „დინამოსთან" მატჩში თავი გამოიჩინა ახალგაზრდა კალათბურთელმა გიორგობიანმა.**

ა. კოტორაშვილის ფოტო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

● ჭადრაკი

## დასკვნითი აკორდი

8 სექტემბერს თბილისის ჭადრაკის სასახლეში ვ. გოგლიძის მემორიალის დასკვნითი, XV ტურის შეხვედრები გაიმართა.

გავრიკოვმა ძველინდურ დაცვაში რთული თამაში მოახვია მურშედს. ბანგლადეშელი ბოლომდე ვერ გაერკვა სიძნელეებში. მისი გვირგვინოსანი შავი ფიგურების იერიშის ქვეშ მოჰყვა და მალე ფარ-ხმალიც დაყარა.

ნოგეირასს ზაიჩიკთან შეხვედრაში მხოლოდ მოგება აძლევდა ხელს. თუ მიზანს მიაღწევდა, მეორე ადგილზე გადიოდა. თამაში თბილისელი ოსტატის სასარგებლოდ აიწყო, მაგრამ კუბელმა დიდოსტატმა ინგლისური დაწყების პერსპექტიული გაგრძელება აირჩია. ნოგეირესმა შეძლო ეტლსა და პაიკში ორი ფიგურის მოგება, მეფის ფრთაზე იერიშის განვითარებაც. აქ ზაიჩიკმა ისეთი ძლიერი გამსვლელი პაიკი შექმნა, რომ პარტიის ბედი თავის სასარგებლოდ გადაწყვიტა.

ლამაზი, კომბინაციური იერიშით დაასრულა სტურუამ გურგენიძესთან შეხვედრა, რომელიც თავიდანვე საინტერესოდ მიმდინარეობდა.

დანარჩენი პარტიები ყაიმით დამთავრდა. დაზავდნენ: უბილავა — კიარნერი, ჰენლი — ოლი, გუფელდი — გიორგაძე, ველიჩკოვიჩი — ადამსკი, ფოიშორი — მნაცაკანიანი.

მემორიალი დამთავრდა. ადგილები საბოლოოდ ასე განაწილდა:

**I. ვ. გავრიკოვი (ვილნიუსი) — 11 ქულა, II-IV. ე. უბილავა, ლ. ოლი (ტალინი), რ. ჰენლი (აშშ) — 8,5-8,5, V-IX. ზ. სტურუა, ე. გუფელდი, გ. ზაიჩიკი, ი. ადამსკი (პოლონეთი), ხ. ნოგეირასი (კუბა) — 8-8, X-XII. ე. მნაცაკანიანი (ერევანი), ო. ფოიშორი (რუმინეთი), ხ. ველიჩკოვიჩი (იუგოსლავია) — 7,5-7,5, XIII-XIV. ბ. გურგენიძე, გ. გიორგაძე — 6-6, XV-XVI. ხ. კიარნერი (ტალინი), ნ. მურშედი (ბანგლადეში) — 4,5-4,5.**

**გუშინ მემორიალი საზეიმოდ დაიხურა.**

**სიტყვებით გამოვიდნენ მემორიალის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე, საქართველოს საჭადრაკო ფედერაციის თავმჯდომარის მოადგილე, საქართველოს კომპარტიის თბილისის კიროვის რაიკომის პირველი მდივანი ლია ლომიძე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ვ. ბერიძე, აგრეთვე მემორიალის მონაწილენი ვ. გავრიკოვი და ი. ადამსკი.**

**ვლადიმერ გოგლიძემ გულითადი მადლობა გადაუხადა ჭადრაკის მესვეურებს მისი მამის ხსოვნისადმი მიძღვნილი საერთაშორისო ტურნირის შესანიშნავი ორგანიზაციისა და მოჭადრაკეებს მასში მონაწილეობისთვის.**

**მემორიალის შედეგები დამსწრეთ გააცნო მთავარმა მსაჯმა, საერთაშორისო არბიტრმა თ. გიორგაძემ.**

**მოჭადრაკეებს გადაეცათ სამახსოვრო საჩუქრები. ყველაზე ლამაზი პარტიისათვის სპეციალური ჯილდო, რომელიც ზუგდიდელმა ჭადრაკის მოყვარულებმა დააწესეს, მიიღო ზ. სტურუამ (გურგენიძესთან პარტიაში).**

## ლაპარაკობს გამარჯვებული

**„ლელოს“ კორესპონდენტმა მიულოცა ვიქტორ გავრიკოვს შესანიშნავი გამარჯვება ვ. გოგლიძის VI მემორიალში და სთხოვა გაზეთის მკითხველთათვის წარმოედგინა თავი.**

— წარმოშობით მოლდავეთიდან ვარ, სადაც 1957 წელს დავიბადე, — თქვა ახალგაზრდა მოჭადრაკემ. — უკვე რამდენიმე წელია ვილნიუსში ვცხოვრობთ. ვმუშაობ მწვრთნელ-მასწავლებლად ქალაქის სპორტკომიტეტის ბავშვთა საჭადრაკო სკოლაში. წლეულს ერთ-ერთმა ჩემმა აღზრდილმა, ოსტატმა ვიდმანტას მალიშაუსკასმა გაიმარჯვა ლენინგრადის ჭაბუკთა მეორე საერთაშორისო ტურნირში. 1981 წელს დიდოსტატ ნანა ალექსანდრიას მწვრთნელი ვიყავი მაია ჩიბურდანიძესთან მსოფლიო პირველობაზე მისი მატჩის დროს. ამ მუშაობისთვის საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელის წოდება მომანიჭეს.

სპორტის ოსტატი გავხდი 1977 წელს. 1981 წელს სსრ კავშირის 49-ე ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში ვმონაწილეობდი და IV-V ადგილები გავიყავი, რისთვისაც მსოფლიო პირველობის საბჭოთა ზონალურ ტურნირში მიმიწვიეს. აქ წარმატება არ მქონია. წლეულს გაზაფხულზე გავიმარჯვე საბჭოთა კავშირის ახალგაზრდა ოსტატთა პირველობაში. გოგლიძის მემორიალში წარმატება ყველაზე სასახელოა ჩემს ცხოვრებაში — აქ პირველად შევასრულე საერთაშორისო დიდოსტატის ნორმა.

## აზრთა ჭიდილში

**ყველა** საერთაშორისო ტურნირი, პირველ ყოვლისა, მოჭადრაკეთა მეგობრობას, მათი შემოქმედებითი ურთიერთობის განმტკიცებას ემსახურება. ამ თვალსაზრისით ვ. გოგლიძის VI მემორიალმაც ითამაშა დადებითი როლი.

ამავე დროს მოჭადრაკეებმა გააჩაღეს შეუპოვარი ბრძოლა. ისინი შეძლებისამებრ თითოეულ პარტიაში აქსოვდნენ ცოდნას, გამოცდილებას, ყველაფერს, რასაც გამარჯვების მოტანა შეეძლო.

პირველად ვ. გოგლიძის მემორიალების ისტორიაში პირველი პრიზი სტუმარს დარჩა. ეს მაშინ, როცა ყველა წინა მემორიალში საქართველოს მოჭადრაკე პირველი პრიზის მფლობელი თუ არა მოზიარე მაინც იყო. ამჯერად მას ვილნიუსელი ოსტატი ვ. გავრიკოვი დაეპატრონა.

ახალგაზრდა გავრიკოვს საჭადრაკო დებიუტების ენციკლოპედიური ცოდნა აქვს. ამიტომაც ბევრ პარტიაში საუცხოო პოზიციას ღებულობდა. მხოლოდ მან შეძლო საერთაშორისო დიდოსტატის საკმაოდ მაღალი ნორმის (11 ქულა) შესრულება. უდავოა, რომ ნიჭიერ ოსტატს დიდი მომავალი აქვს.

იგივე უნდა ითქვას ტალინის სპორტული სკოლა-ინტერნატის აღსაზრდელის, 17 წლის ლ. ოლის შესახებ. ყმაწვილმა მოჭადრაკემ შეჯიბრება ორი წაგებით დაიწყო, მაგრამ შემდეგ ერთ პარტიაშიც არ დამარცხებულა. მან მეორედ შეასრულა საერთაშორისო ოსტატის ნორმა (8 ქულა) და შემოდგომაზე, ფიდეს-ს კონგრესზე, ახალ სპორტულ წოდებას მიიღებს.

წარმატებით დაასრულა შეჯიბრება ამერიკელმა დიდოსტატმა რ. ჰენლიმ, რომელიც თავიდან ძლიერი მოჭადრაკის შთაბეჭდილებას არ სტოვებდა, თუმცა შარშან ინდონეზიის დიდ საერთაშორისო ტურნირში გაიმარჯვა. ფინიშზე ჰენლიმ სამი პარტია მოიგო და პრიზიორებში მოხვდა.

წარმატებით ითამაშეს აგრეთვე ხ. ნოგეირასმა, ო. ფოიშორმა და ი. ადამსკიმ, თუმცა მეტის მიღწევაც შეეძლოთ, უფრო მწვავედ რომ ეთამაშათ. მაგალითად, რუმინეთის ჩემპიონმა ფოიშორმა ცამეტი პარტია ყაიმით დაამთავრა.

კარგად გამოვიდნენ ე. უბილავა, ზ. სტურუა, ე. გუფელდი და გ. ზაიჩიკი, მაგრამ გულშემატკივრები მეტს მოელოდნენ მათგან.

ე. უბილავამ წარუმატებლად აიღო სტარტი, მაგრამ მომდევნო ცხრა შეხვედრაში დაუმარცხებლად 6 ქულა მოაგროვა და მეორე ადგილიც გაიყო. ეს ელიზბარის მტკიცე ხასიათზე ლაპარაკობს.

ზ. სტურუამ, პირიქით, ბრწყინვალედ დაიწყო (5-დან 4,5 ქულა), მაგრამ ზედიზედ ორი პარტია რომ წააგო, გუნება გაუფუჭდა, მხოლოდ ფინიშზე მოიკრიბა ძალა და პრიზიორებშიც გაერია. იგივე ითქმის გ. ზაიჩიკზეც. იგი დაგვიანებით ჩაება ტურნირში (უნგრეთის საერთაშორისო ტურნირში გამარჯვების შემდეგ იგი გზაში დაყოვნდა), დაღლილობა დაეტყო და მხოლოდ დასკვნით შეხვედრებში გამოიჩინა თავი. გამოცდილი გუფელდი ისე თამაშობდა, თითქოს საპრიზო ადგილს ეპარებოდა. ხშირად ყაიმზე თანხმდებოდა თითქმის უბრძოლველად. ჩანს, საბოლოო ანგარიშში მოტყუვდა.

გ. გურგენიძის გაქანების მქონე მოჭადრაკესთვის 6 ქულა არაა სახარბიელო შედეგი. იგი აშკარად წარუმატებლად თამაშობდა. მეტის მიღწევა შეეძლო 19 წლის გია გიორგაძესაც, თუმცა 6 ქულამ მოუტანა ახალი სპორტული წოდება — ფიდე-ს ოსტატი.

როცა ქართველი მოჭადრაკეების შედეგებს აანალიზებ, ის დასკვნა გამოგაქვს, რომ ისინი დაღლილი თამაშობდნენ, ვერ მოასწრეს აღდგენა იმ დიდი სულიერი და ფიზიკური ძალისა, რომელიც უხვად შეალიეს ბრწყინვალე გამარჯვებას მოსკოვში, სსრ კავშირის ხალხთა VIII სპარტაკიადაზე. ალბათ ამიტომაც იყო, რომ ჩვენი მოჭადრაკეები მხოლოდ შეჯიბრების ცალკეულ მომენტებში იბრძოდნენ მთელი ძალით. ზოგმა შეიძლება თქვას: მემორიალი მოგვიანებით უნდა დაენიშნათო. რა თქმა უნდა, აჯობებდა, მაგრამ მისი სასურველ დროს გამართვა ბევრ ობიექტურ სიძნელესთან არის დაკავშირებული. საბოლოო ჯამში სასაყვედურო არაფერი გვაქვს, თუმცა, ბუნებრივია, მეტი გვინდოდა.

თბილისის ჭადრაკის სასახლემ ჩინებული მასპინძლობა გაუწია მემორიალს. ორგანიზატორებს ზრუნვა და ყურადღება არ დაუკლიათ მოჭადრაკეთათვის: გამოიცა პროგრამა, დამზადდა სამკერდე ნიშნები. საჭადრაკო პაექრობამ, შეხვედრებმა, ნანახ-გაგონილმა გაამდიდრა თითოეული მონაწილე.

**თ. გიორგაძე,**
**მემორიალის მთავარი მსაჯი, საერთაშორისო არბიტრი.**

● ● ●









**ს უ რ ა თ ე ბ ზ ე: ვ. გავრიკოვი (ზემოთ); ქვემოთ (მარცხნიდან): ე. უბილავა, ლ. ოლი და რ. ჰენლი.**

თ. ქიქავას ფოტოები.

წერილმა გზად გვიხმო

# მოედანი მოედნობდეს!

**ხაშურის რაიონის სოფელ დიდი ფლევის** ახალგაზრდებმა ამას წინათ რედაქციაში გულისტკივილით აღსავსე ბარათი გამოგზავნეს: „სოფელში გვქონდა ფეხბურთის მოედანი, სადაც რაიონულ პირველობებს ვატარებდით, მაგრამ იგი მეურნეობის ხელმძღვანელობამ კალოდ აქცია. ერთ დროს საჭიდაოც გვქონდა, მაგრამ უყურადღებობის გამო ისიც გავერანდა. ახლა ამ ადგილას კლუბის სამშენებლო მასალა ყრია. რამდენიმე წელია არც კლუბი გვაქვს. როგორ მოვიქცეთ ფლეველი ახალგაზრდები? კლუბის, ფეხბურთის მოედნისა და საჭიდაო სარბიელის გარეშე სოფელში რა გაგვაჩერებს?“

ცხადია, ასეთი წერილის უყურადღებოდ დატოვება შეუძლებელი იყო და ჩვენც ფაქტების ადგილზე შემოწმება გადავწყვიტეთ.

● ● ●

...ღრუბლიანი დღე იყო, ცინცხლავდა. მავთულბადით შემოღობილ ფლევის საბჭოთა მეურნეობის (დირექტორი **ა. ნოზაძე,** პარტიული კომიტეტის მდივანი **ა. ბაქრაძე,** ადგილკომის თავმჯდომარე **ლ. შიშინაშვილი)** ფეხბურთის მოედანზე მართლაც ვნახეთ სახელდახელოდ მოწყობილი კალო. კოლმეურნეებს ხორბლის, შვრიისა და ლობიოს მოსავალი დაეხვავებინათ. ჩქარობდნენ მათ გადარჩევა-დახარისხებას, რომ დროულად დაებინავებინათ ჭირნახული. მრავლად იყვნენ მუშები. გულსატკენი მხოლოდ ის იყო, რომ არც ერთი ახალგაზრდა არ ერია მათში. კი გვითხრეს, გამრჯე ახალგაზრდობა გვყავსო, მაგრამ...

მეურნეობის დირექტორმა **ა. ნოზაძემ** ჩვენი სტუმრობის მიზეზი რომ გაიგო, დაწვრილებით გვიამბო ყველაფერი: „წლეულს კარგი მოსავალი მივიღეთ. მისი დაბინავებისთვის თადარიგიც დროულად დავიჭირეთ. ხაშურის № 20 მოძრავ-მექანიზებულ კოლონას (უფროსი **ჯ. ტაბატაძე)** ივნისის ბოლოსთვის უნდა ჩაებარებინა ჩვენთვის ორი დახურული ტიპის საშრობი კალო, სადაც მოწეულ მოსავალს გადავამუშავებდით და დავაბინავებდით, მაგრამ მშენებლებმა დღემდე ვერ შეასრულეს პირობა. ამიტომ, მთელი წლის ნაშრომ-ნაამაგარი უფრო საიმედო ადგილას რომ გვქონოდა, მეურნეობის ფიზკულტურის მეთოდისტთან და ახალგაზრდების ერთ ჯგუფთან შეთანხმებით ფეხბურთ-





ფიზკულტურის მეთოდისტი **ზ. ლომიძე:** „აგვისტოს დასაწყისში მეურნეობის დირექციამ გვთხოვა ფეხბურთის მოედანი დროებით კალოსთვის დაგვეთმო. რადგან მოსავლის გადამუშავება-დახარისხებისათვის მეურნეობაში უფრო ხელსაყრელი ტერიტორია არ მოიძებნება, ჩვენც დავთანხმდით, მითუმეტეს, რომ „კოლმეურნეს“ რაისაბჭომ დაგვრთო ნება ფეხბურთში რაიონულ პირველობაზე შეხვედრები აგვისტოში მეტოქეთა მინდვრებზე ჩაგვეტარებინა, ხოლო სექტემბერში, როცა ჩვენი მოედანი გათავისუფლდებოდა — შინ“.

როგორც ხედავთ, ყველაფერი შეთანხმებით მომხდარა, ოღონდ ახალგაზრდების ერთი ნაწილის გვერდის ავლით. ცხადია, დღეს, როდესაც წყდება მთელი წლის სარჩო-საბადებლის ბედ-იღბალი, იქნებ მეურნეობის ხელმძღვანელობა ვერც გაამტყუნო კაცმა ფეხბურთის მოედნის კალოდ გამოყენებისთვის. მარტო ეს რომ ყოფილიყო, შეიძლება ეს წერილიც არ დაწერილიყო, მაგრამ კონკრეტულმა ფაქტმა, რომელმაც გზად გვიხმო, უფრო ღრმად ჩაგვახედა მეურნეობის ფიზკულტურული კოლექტივის ცხოვრებაში.

მართალია მუშა-მოსამსახურეთა ფიზიკური წრთობისა და ჯანმრთელობისთვის აქ გარკვეული მუშაობა ტარდება, მაგრამ ეს აშკარად უკმარია. მით უმეტეს, რომ სპორტული ბაზების მხრივ ყველაფერი რიგზე როდია.

მეურნეობაში გაერთიანებულია სამი სოფელი — ტკოცა, ნაცარგორა და თვით ფლევი. ტკოცას და ნაცარგორას მცირე ზომის ფეხბურთის მოედნები აქვთ, თუმცა, მათ მოედნებსაც ვერ უწოდებ, რადგან ფარღალალად და ცხოველთა სათარეშოდაა დარჩენილი. მეურნეობის ფიზკულტურელებს საკუთარი არც ფრენბურთისა და კალათბურთის მოედნები გააჩნიათ (საშუალო სკოლის სპორტული მოედნების იმედზე არიან). რაც შეეხება სოფლის ცენტრში მოთავსებულ საჭიდაოს, რომლის შესახებაც რედაქციაში გამოგზავნილ კორესპონდენციაშიცაა ლაპარაკი, დიდი ხანია მას თავისი დანიშნულება და ფუნქცია დაკარგული აქვს.

მეურნეობას, რომლის თავკაციც ყოფილი სპორტსმენი, სპორტის ოსტატობის კანდიდატია ჭიდაობაში, ასეთი ბაზები არ ეკადრება. ამაზე დროული ჩაფიქრება მართებთ როგორც ადგილობრივ, ისე რაიონის ხელმძღვანელობას და სპორტის მესვეურთ.

**ვ. დანელია.**
**(„ლელოს“ სპეც. კორ.).**

სოფ. ფლევი,
ხაშურის რაიონი.

● ● ●

**ს უ რ ა თ ზ ე: „საჭიდაო“ სოფლის ცენტრში.**

ავტორის ფოტო.

# ლიდერთა მატჩი

**7 სექტემბერს** ბუდაპეშტის „ნეპშტადიონზე“ გაიმართა ოლიმპიური თამაშების საფეხბურთო ტურნირის შესარჩევი თამაში უნგრეთისა და სსრ კავშირის ნაკრებ გუნდებს შორის.

მატჩს მეტად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, ვინაიდან ერთმანეთს ხვდებოდნენ ევროპის „ა“ ქვეჯგუფის ლიდერები, გამარჯვებული საგრძნობ უპირატესობას ღებულობდა მეტოქესთან უშუალოდ მოპოვებული გამარჯვებით.

თამაში მიმდინარეობდა მეტად დაძაბულად, ტერიტორიული უპირატესობა პირველ ტაიმში მასპინძლებს ჰქონდათ, მაგრამ საბჭოთა ფეხბურთელებმა რამდენიმე მეტად სახიფათო კონტრშეტევა განახორციელეს. სრული დატვირთვით მუშაობდნენ მეკარეები კოვაჩი (უნგრეთი) და ჩანოვი (სსრ კავშირი).

მატჩის ბედი გადაწყდა 89-ე წუთზე, როცა ჩერენკოვმა მინდვრის სიღრმეში მიიღო მელნიკოვის ზუსტი გადაცემა, გავიდა კოვაჩის პირისპირ და გაიტანა ეს ერთადერთი ბურთი.

საბჭოთა ოლიმპიურმა ნაკრებმა ასეთი შემადგენლობით ითამაშა: ვიაჩ. ჩანოვი, შიშკინი, ქუპიკოვი, იანუშევსკი, მილეშკინი, ე. კუზნეცოვი, გოცმანოვი, გრაჩოვი (მელნიკოვი), ალეინიკოვი, ჩერენკოვი, გაზაევი (გურინოვიჩი).

ევროპის „ა“ ქვეჯგუფში გუნდები სადღეისოდ ასე განლაგდნენ:

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| სსრ კავშირი | 3 | 2 | 1 | 0 | 6-2 | 5 |
| უნგრეთი | 3 | 1 | 1 | 1 | 4-3 | 3 |
| ბულგარეთი | 2 | 0 | 2 | 0 | 3-3 | 2 |
| საბერძნეთი | 2 | 0 | 0 | 2 | 1-6 | 0 |

საბჭოთა ოლიმპიელი ფეხბურთელები 5 ოქტომბერს საბერძნეთში შეხვდებიან იქაურ ნაკრებს, 12 ოქტომბერს მიიღებენ ბულგარელებს, ხოლო შერჩევითი ტურნირის დასკვნით მატჩს 1984 წლის 25 აპრილს საკუთარ მინდორზე ჩაატარებენ უნგრეთის ნაკრებთან.

• • •

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ოლიმპიურმა ნაკრებმა თავის მინდორზე შესარჩევი მატჩი გამართა პოლონელ ფეხბურთელებთან და გაიმარჯვა ანგარიშით 3:1.

გდრ-ის ფეხბურთელები ახლა ამ ჯგუფში ქულათა მაქსიმუმით ლიდერობენ — 6. პოლონეთის ნაკრებს 4 ქულა აქვს, ნორვეგიელებს — 3, დანიელებს — 2, ფინელებს — 1.

## უმაღლესი ლიგა

**მცირე** ხნის შესვენების შემდეგ განახლდა სსრ კავშირის 46-ე ჩემპიონატი ფეხბურთში. გუშინ მოსკოვში ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი და კიევის დინამოელები.

მატჩი დამთავრდა ფრედ — 1:1.

# გადამწყვეტი შეხვედრების წინ

**ევროპაში** დადგა საფეხბურთო სეზონი, მთელ რიგ ქვეყნებში დაიწყო ეროვნული ჩემპიონატები, მიმდინარეობს კონტინენტის ჩემპიონატისა და ოლიმპიური საფეხბურთო ტურნირის შესარჩევი მატჩები. სსრ კავშირის პირველი ნაკრები ემზადება მეტად საპასუხისმგებლო შეხვედრებისთვის, ოლიმპიურმა ნაკრებმა უკვე ითამაშა ბუდაპეშტში, სადაც დაამარცხა ადგილობრივი ძლიერი გუნდი.

სსრ კავშირის ნაკრების უფროს მწვრთნელს **ვ. ლობანოვსკის** თხოვნით მიმართა საქდესის კორესპონდენტმა თავისი აზრი გამოეთქვა მომავალ ბრძოლათა შესახებ.

უფროსმა მწვრთნელმა განაცხადა, რომ, თუმცა, საბჭოთა ფეხბურთელები ლიდერობენ თავიანთ ჯგუფში, ფინალში მოხვედრის რეალური. შანსი აქვთ პორტუგალიელებსაც და თეორიული შესაძლებლობა — პოლონეთის ნაკრებს, ამიტომ ყველაფერი გადაწყდება ამ სამი პრეტენდენტის ერთმანეთთან შეხვედრებში. ოლიმპიურ ნაკრებში თავი გამოიჩინა რამდენიმე ფეხბურთელმა, რომლებსაც შეიძლება პირველ ნაკრებშიც დაეთმოს ადგილი, ამას გარდა ბესონოვის, როდიონოვისა და ჟურავლიოვის სერიოზული ტრავმები გვაიძულებს ვიფიქროთ პირველი ნაკრების გადახალისებაზე. ვ. ლობანოვსკის აზრით საკავშირო ჩემპიონატის შეხვედრებში თამაშის დონე რამდენადმე დააქვეითეს ბურიაკმა, შენგელიამ, ბალმა, სულაქველიძემ, დემიანენკომ, ჩივაძემ, ანდრეევმა, რაც ნაკრების ხელმძღვანელობის გარკვეულ შეშფოთებას იწვევს. მაინც, მომავალ ძნელ მატჩებს ოპტიმისტური თვალით ვუყურებთ, ვინაიდან ნაკრების საკონტროლო მატჩებში ზემოჩამოთვლილმა ფეხბურთელებმა მნიშვნელოვნად აღიდგინეს სპორტული ფორმა, საიმედოდ თამაშობენ ოლიმპიური ნაკრების წევრები პროტასოვი და ლიტოვჩენკო. 1986 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩებისთვის მზადება უნდა დავიწყოთ აქედანვე, ამიტომ საჭიროა საგანგებო ყურადღებით მოვეპყრათ რეზერვებს.

ვ. ლობანოვსკიმ აგრეთვე აღნიშნა: ჭაბუკთა განვლილმა მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატებმა ცხადყო, რომ ახალგაზრდა ფეხბურთელთა აღზრდა ჩვენში ჯერ კიდევ არ მიმდინარეობს ისე, რომ დააკმაყოფილოს მოზრდილთა გუნდების მოთხოვნები. და ეს იმ დროს, როცა უცხოეთის გუნდებში ახლა მრავლად არიან მაღალტექნიკური, ფიზიკურად კარგად მომზადებული, ტაქტიკური აღლოთი დაჯილდოებული ჭაბუკი ფეხბურთელები. მექსიკის მსოფლიო ჩემპიონატში, მაგალითად, სხვადასხვა ქვეყნის ჭაბუკთა ნაკრებ გუნდებში უმთავრესად გამოდიოდნენ პროფესიული კლუბების მეტად ძლიერი ახალგაზრდა ფეხბურთელები.

ჩვენ შევიმუშავეთ უახლოესი ოთხწლეულის საერთაშორისო შეხვედრათა კალენდარი, იგი რაციონალურად უნდა შევუხამოთ ჩვენს შინაურ კალენდარს, რათა ნაკრებ გუნდებს ჰქონდეთ ერთობლივი წვრთნისა და საერთაშორისო შეჯიბრებებში მონაწილეობის ხელსაყრელი პირობები, ამავე დროს წამყვანმა მოთამაშეებმა სათანადო წვრთნა გაიარონ თავიანთ კლუბებში.

ვ. ლობანოვსკიმ აღნიშნა ისიც, რომ სსრ კავშირის ჩემპიონატებში საჭიროა მოხდეს რეფორმა, ჩვენც უნდა გადავიდეთ ევროპული ფეხბურთის ყაიდაზე, სადაც საფეხბურთო სეზონი მიმდინარეობს პრინციპით „შემოდგომა-გაზაფხული“, რითაც გაიზრდება სეზონი. საამისოდ მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ გადახურული მანეჟები, სტადიონები, მინდვრები გათბობით და სამხრეთის სტადიონები, სადაც კარგი კლიმატური პირობებია. თავი უნდა დავაღწიოთ ზამთრის „ღრმა ძილს“, სეზონი დავიწყოთ თებერვლის დასასრულს და დავამთავროთ ნოემბრის ბოლოს. თუ ამას მივაღწევთ, მაშინ სსრ კავშირის ჩემპიონატის გადამწყვეტი მატჩები, სადაც უნდა გამოვლინდნენ უძლიერესნი, ჩატარდება მაისსა და ივნისში, ე. ი. ხელსაყრელ პირობებში, კარგ ამინდში და არა მოყინულ მინდვრებზე. ასეთ თამაშებს მაყურებელიც უფრო ხალისით დაესწრება.

## საქართველოს პირველობა

გაიმართა რესპუბლიკის საფეხბურთო ჩემპიონატის მორიგი შეხვედრები.

### I ჯგუფი

#### აღმოსავლეთი ზონა

**„სამგორი“ (გარდაბანი) — „სპარტაკი“ (ცხინვალი) 4:2. მსაჯი ტ. ნიშნიანიძე (თბილისი).**

გოლები: გაფიშვილი-2, გუგუშვილი, ახობაძე („სამგორი“), ჩოჩიევი, ხუბეჯიშვილი („სპარტაკი“).

**„სპარტაკი“ (ცხინვალი) — „ჰერეთი“ (ლაგოდეხი) 1:1. მსაჯი ნ. მუხაშავრია (ბათუმი).**

გოლები: ხუბეჯიშვილი („სპარტაკი“), არქანია („ჰერეთი“).

**ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — „ივერია“ (ხაშური) 0:1. მსაჯი ე. ხილაგავა (თბილისი).**

ბურთი გაიტანა ახალკაცმა.

**„სამგორი“ (გარდაბანი) — „სპარტაკი“ (თბილისი) 0:0. მსაჯი ა. ბაჩუკაშვილი (თბილისი).**

**„მეტალურგი“ (რუსთავი) — „ლოკომოტივი“ (თბილისი) 10:0. მსაჯი რ. ფანჯარაშვილი (თბილისი).**

გოლები: ბოლქვაძე-6, გოგუაძე, ალადაშვილი, კილასონია, კოტეტიშვილი.

**„ავტომობილისტი“ (თბილისი) — პოლიტექნიკური ინსტიტუტი (თბილისი) 3:0. მსაჯი ე. ხილაგავა (თბილისი).**

გოლები: ოჩარაშვილი, კახიშვილი, ელოევი.

**„თორი“ (ბორჯომი) — „ქართლი“ (გორის რაიონი) 5:2. მსაჯი ნ. შავიშვილი (ბათუმი).**

გოლები: ი. ნოზაძე-2, აჭარაძე, ლომიძე, გაჩეჩილაძე („თორი“), კეპაშვილი, ხანიშვილი („ქართლი“).

**„არმაზი“ (მცხეთა) — „შევარდენი“ (თბილისი) 2:0. მსაჯი ნ. ამირეჯიბი (თბილისი).**

გოლები: კ. იორამაშვილი, სოლოღაშვილი.

**„კახეთი“ (თელავი) — „მაღნეული“ (ბოლნისი) 2:1. მსაჯი შ. ხანიაშვილი (თბილისი).**

გოლები: რაზმაძე-2 („კახეთი“), ჯაგოვი („მაღნეული“).

**„სპარტაკი“ (თბილისი) — „ავტომობილისტი“ (თბილისი) 2:3. მსაჯი ვ. მიმინოშვილი (თბილისი).**

გოლები: ბერაძე, ჯიშიაშვილი („სპარტაკი“), ოჩარაშვილი-2, ბერიკაშვილი („ავტომობილისტი“).

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 10 სექტემბრისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „კახეთი“ | 23 | 14 | 6 | 3 | 44—18 | 34 |
| „მეტალ.“ | 24 | 14 | 5 | 5 | 52—22 | 33 |
| „ჰერეთი“ | 24 | 12 | 8 | 4 | 44—26 | 32 |
| „ავტომ.“ | 24 | 11 | 8 | 5 | 37—21 | 30 |
| „არმაზი“ | 24 | 12 | 5 | 7 | 40—36 | 29 |
| „ივერია“ | 23 | 11 | 5 | 7 | 34—28 | 27 |
| „დურუჯი“ | 23 | 10 | 7 | 6 | 43—32 | 27 |
| „შევარ.“ | 23 | 9 | 9 | 5 | 31—17 | 27 |
| „თორი“ | 23 | 8 | 9 | 6 | 30—28 | 25 |
| „მაღნ.“ | 23 | 11 | 4 | 8 | 41—24 | 24 |
| „სპარ.“ ცხ. | 24 | 11 | 2 | 11 | 49—45 | 24 |
| „სამგორი“ | 24 | 7 | 10 | 7 | 33—29 | 24 |
| „სპ.“ თბ. | 24 | 7 | 9 | 8 | 45—39 | 23 |
| პოლ. ინს. | 22 | 3 | 12 | 7 | 26—39 | 18 |
| ფიზ. ინს. | 24 | 7 | 3 | 14 | 26—38 | 17 |
| „ქართლი“ | 23 | 2 | 9 | 12 | 27—60 | 13 |
| „ალაზანი“ | 23 | 5 | 2 | 16 | 33—55 | 12 |
| „ლოკომ.“ | 24 | 0 | 1 | 23 | 12—90 | 1 |

#### დასავლეთი ზონა

**„დინამო“ (გაგრა) — „საპოვნელა“ (თერჯოლა) 2:2. მსაჯი ნ. ამირეჯიბი (თბილისი).**

გოლები: კვარაცხელია, ტესლენკო („დინამო“), ფანჩულიძე-2 („საპოვნელა“).

**„სამგურალი“ (წყალტუბო) — „მზიური“ (გალი) 1:0. მსაჯი ი. კანდელაკი (თბილისი).**

ბურთი გაიტანა ქვირიამ.

**„სულორი“ (ვანი) — „კოლხეთი“ (ხობი) 4:0. მსაჯი გ. გაბისკირია (სოხუმი).**

გოლები: სულაბერიძე-2, ვერულაშვილი, ბრეგვაძე.

**„დინამო“ (ზუგდიდი) — „სქური“ (წალენჯიხა) 4:0. მსაჯი ი. მილჩენკო (სოხუმი).**

გოლები: ანთია-2, ხვიტია, გ. თუთბერიძე.

**„იმერეთი“ (წულუკიძე) — „ამირანი“ (ოჩამჩირე) 4:1. მსაჯი ა. აფრიდონიძე (ქუთაისი).**

გოლები: ბერძენიშვილი-2, სილაგაძე-2 („იმერეთი“), გუნია („ამირანი“).

**„სამეგრელო“ (ჩხოროწყუ) — „ბახმარო“ (ჩოხატაური) 6:1. მსაჯი ვ. ეჯიბია (თბილისი).**

გოლები: ციმაკურიძე-4, ახალაია, ვ. სიჭინავა („სამეგრელო“), გორბატოვი („ბახმარო“).

**„მეტალურგი“ (ზესტაფონი) — „სალხინო“ (გეგეჭკორი) 6:0. მსაჯი ჯ. ჩუხუა (თბილისი).**

გოლები: ბებიაშვილი, ძიძიშვილი, გ. ხუჯაძე, გვენეტაძე, ლაბაძე, ყურაშვილი.

**„შუქურა“ (ქობულეთი) — „ეგრისი“ (ცხაკაია) 3:2. მსაჯი ა. კიკაბიძე (მახარაძე).**

გოლები: ანანიძე-2, ღონღაძე („შუქურა“), ყურაშვილი, ხურცილავა („ეგრისი“).

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 10 სექტემბრისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „სამგურ.“ | 25 | 14 | 6 | 5 | 46—21 | 34 |
| „დინ.“ ზ. | 25 | 13 | 5 | 7 | 43—30 | 31 |
| „სულ.“ | 26 | 13 | 5 | 8 | 41—30 | 31 |
| „მზიური“ | 25 | 13 | 4 | 8 | 38—26 | 30 |
| „ამირანი“ | 26 | 12 | 6 | 8 | 46—51 | 30 |
| „საპოვნ.“ | 25 | 11 | 8 | 6 | 41—24 | 30 |
| „სქური“ | 27 | 11 | 6 | 10 | 37—42 | 28 |
| „სამეგ.“ | 25 | 11 | 4 | 10 | 43—32 | 26 |
| „დინ.“ გ. | 26 | 10 | 6 | 10 | 40—46 | 26 |
| „სალხ.“ | 25 | 8 | 9 | 8 | 36—41 | 25 |
| „მალარ.“ | 25 | 9 | 6 | 10 | 40—35 | 24 |
| „იმერ.“ | 26 | 8 | 8 | 10 | 41—39 | 24 |
| „კოლხ.“ | 25 | 7 | 10 | 8 | 36—43 | 24 |
| „ეგრისი“ | 25 | 8 | 6 | 11 | 34—39 | 22 |
| „მეტალ.“ | 26 | 7 | 8 | 11 | 42—38 | 22 |
| „საირმე“ | 25 | 8 | 5 | 12 | 31—36 | 21 |
| „ბახმ.“ | 26 | 7 | 6 | 13 | 21—36 | 20 |
| „ენგური“ | 24 | 7 | 4 | 13 | 20—45 | 18 |
| „შუქურა“ | 25 | 5 | 6 | 14 | 34—56 | 16 |

●

**11-მეტრიანი**

**უდისციპლინოთა კარში**

გორის რაიონის „ქართლის“ ფეხბურთელი ბ. გიგუაშვილი უდიერად მოექცა მსაჯს, რისთვისაც იგი გააძევეს მინდვრიდან (სპორტკომიტეტის თავმჯდომარე თ. ქიმერიძე).

წლევანდელ სეზონში მესამედ გააფრთხილეს ოჩამჩირის „ამირანის“ მოთამაშე გ. გოგოლაშვილი (სპორტკომიტეტის თავმჯდომარე ი. არჩაია). მეორედ გააფრთხილეს ზ. კვეკვესკირი (გალის „მზიური“, სპორტკომიტეტის თავმჯდომარე კ. გოგუა) და ა. მგელაძე (თერჯოლის „საპოვნელა“, სპორტკომიტეტის თავმჯდომარე მ. სვინტრაძე).

სხვადასხვაგვარი დარღვევებისთვის გააფრთხილეს შემდეგი ფეხბურთელები: ვ. დანილოვი (ზუგდიდის „დინამო“, სპორტკომიტეტის თავმჯდომარე კ. ხორავა), დ. კოზმავა (ოჩამჩის „ნაპერწკალი“, სპორტკომიტეტის თავმჯდომარე კ. გოგუა), დ. კოპაძე (გარდაბნის „სამგორი“, სპორტკომიტეტის თავმჯდომარე ი. მჭედლიშვილი), დ. შჩერბაკოვი (დმანისის „მაშავერა“, სპორტკომიტეტის თავმჯდომარე ა. ალიევი), გ. შარიქაძე (ამბროლაურის „რაჭა“, სპორტკომიტეტის თავმჯდომარე თ. კობახიძე), ბ. მაისურაძე (ახმეტის „ბახტრიონი“, სპორტკომიტეტის თავმჯდომარე ა. ჯილიტაშვილი), ო. ზაქარაია (გალის „მზიური“, სპორტკომიტეტის თავმჯდომარე კ. გოგუა), ბ. ალავიძე და დ. კაპანაძე (საჩხერის „ჩიხურა“, სპორტკომიტეტის თავმჯდომარე თ. ლაშხი).

**საქართველოს სპორტკომიტეტის ფეხბურთის სამმართველო.**

# ევროპისა და აზიის სტადიონებზე

**7 სექტემბერს** გაიმართა ევროპის ქვეყნების ეროვნული ნაკრები გუნდების რამდენიმე ამხანაგური შეხვედრა. პოლონელებმა შინ მიიღეს რუმინეთის ნაკრები და ფრედ დაამთავრეს მატჩი—2:2. ასევე ფრედ (1:1) დამთავრდა უნგრეთისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, აგრეთვე, შვეიცარიისა და ჩეხოსლოვაკიის (0:0) გუნდების შეხვედრები.

საფრანგეთის ნაკრებმა მოულოდნელი მარცხი იწვნია დანიაში, იქაურ ნაკრებთან შეხვედრისას — 1:3. ფინელებმა თავიანთ მინდორზე წააგეს შვედებთან — 0:3.

**მადრიდში** გაიმართა სანტიაგო ბერნაბეუს თასის ტრადიციული გათამაშება. წინა ტურნირებში, როგორც წესი, მონაწილეობდა 4 გუნდი, ამჯერად კი გაიმართა სულ ერთი მატჩი. მადრიდის „რეალი“ შეხვდა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ჩემპიონსა და ევროპის ჩემპიონთა თასის მფლობელს „ჰამბურგს“ და გაიმარჯვა ანგარიშით 3:2.

**აფრიკაში** მიმდინარეობს კონტინენტის თასის გათამაშება ეროვნულ ნაკრებ გუნდებს შორის. მოგვყავს განვლილი ტურების შედეგები: **კამერუნი** — სუდანი 5:0, 0:2, **ალჟირი** — სენეგალი 1:1, 2:0, **ეგვიპტე** — ტუნისი 1:0, 0:0, **ნიგერია** — მაროკო 0:0, 0:0, დამატებითი პენალტებით გაიმარჯვეს ნიგერიელებმა — 4:3, **მალავი** — მადაგასკარი 1:0, 1:1, **ტოგო** — ეთიოპია 1:2, 3:0.

მომავალი წლის მარტში სპილოს ძვლის ნაპირის სახელმწიფოში გაიმართება აფრიკის თასის ფინალური გათამაშება. მასში მონაწილეობას მიიღებენ კამერუნი, ალჟირი, ეგვიპტე, ნიგერია, მალავი, ტოგო, განა და სპილოს ძვლის ნაპირი.

## II ლიგა

**8 სექტემბერს** გაიმართა II ლიგის IX ზონის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების 27-ე ტურის კალენდარული მატჩები: „მერცხალი“ (მახარაძე) — „კოლხეთი“ (ფოთი) 0:1, „მეშახტე“ (ტყიბული) — „დინამო“ (სოხუმი) 1:0, „დილა“ (გორი) — „ყარაბახი“ (სტეფანაკერტი) 3:2, „ქიაფაზი“ (კიროვაბადი) — „არაზი“ (ნახიჩევანი) 5:0, „ავტომობილისტი“ (მინგეჩაური) — „სპარტაკი“ (ოქტემბერიანი) 6:0, „ხაზარი“ (ლენქორანი) — „შირაკი“ (ლენინაკანი) 2:1, „კოტაიკი“ (აბოვიანი) — „ლოკომოტივი“ (სამტრედია) 3:2, „ოლიმპია“ (არტაშატი) — „დინამო“ (ბათუმი) 0:2.

### გათამაშების ცხრილი

II ლიგა, IX ზონა

მდგომარეობა 10 სექტემბრისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „კოტაიკი“ | 25 | 13 | 8 | 4 | 59-35 | 34 |
| „დინ.“ ბ. | 23 | 13 | 5 | 5 | 42-17 | 31 |
| „კოლ-ხი“ | 24 | 13 | 4 | 7 | 45-29 | 30 |
| „მერცხ.“ | 24 | 13 | 3 | 8 | 28-24 | 29 |
| „კოლხეთი“ | 24 | 12 | 5 | 7 | 39-27 | 29 |
| „დილა“ | 25 | 12 | 5 | 8 | 35-30 | 29 |
| „მეშახტე“ | 24 | 12 | 3 | 9 | 36-33 | 27 |
| „ლოკომ.“ | 23 | 11 | 5 | 7 | 32-17 | 27 |
| „ქიაფაზი“ | 25 | 10 | 5 | 10 | 40-39 | 25 |
| „შირაკი“ | 24 | 10 | 4 | 10 | 39-35 | 24 |
| „ხაზარი“ | 24 | 8 | 7 | 9 | 29-35 | 23 |
| „დინ.“ ს. | 24 | 8 | 6 | 10 | 22-33 | 22 |
| „ყარაბ.“ | 23 | 9 | 3 | 11 | 28-26 | 21 |
| „სპარტ.“ | 24 | 8 | 2 | 14 | 30-37 | 18 |
| „ავტომ.“ | 24 | 5 | 5 | 14 | 25-47 | 15 |
| „არაზი“ | 23 | 5 | 4 | 14 | 23-52 | 14 |
| „ოლიმპია“ | 25 | 2 | 6 | 17 | 20-57 | 10 |

● ჩოგბურთი

# „დინამო“ თუ ცსკა?

**სულ** უფრო საინტერესო და დაძაბული ხდება ჩოგბურთელთა ტურნირი სსრ კავშირის თასზე, რომელიც მეხუთე დღეა მიმდინარეობს თბილისში. გასაგებიცაა: შეჯიბრება გადამწყვეტ ფაზაში შედის და ახლა თითოეული შეხვედრის „ხვედრითი წონა“ საკმაოდ მაღალია.

უკვე ჩატარდა შეხვედრები ქვეჯგუფებში, რომელთა შედეგად გუნდები დასკვნითი ეტაპის მატჩებისათვის დაწყვილდნენ.

გუშინ გაიმართა შეხვედრები მეხუთე-მეექვსე ადგილებისათვის. ერთმანეთს შეხვდნენ „ზენიტი“ — „ბურევესტნიკის“ ქალთა და „სპარტაკი“ — „ტრუდის“ ვაჟთა გუნდები. ზენიტელებმა, რომლებსაც სათავეში ქვეყნის ჩემპიონი, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი ლ. მაკაროვა უდგას, ანგარიშით 6:3 შედარებით ადვილად დაამარცხეს მეტოქე (მისი ლიდერია საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი ე. გიშიანი). მეტად დაძაბული გამოდგა ვაჟთა ასპარეზობა. 8 შეხვედრის შემდეგ ანგარიში თანაბარი იყო (4:4) და მხოლოდ გადამწყვეტმა ორთაბრძოლამ — ა. ვოლკოვ — ა. შილოჯიანის წყვილმა — მოუტანა საბოლოო გამარჯვება „სპარტაკს“ — 5:4.

დღეს დილის 10 საათიდან გაიმართება „ტრუდი“ — „სპარტაკისა“ (ქალები) და „ზენიტი“ — „ბურევესტნიკის“ (ვაჟები) შეხვედრები მესამე-მეოთხე ადგილებისათვის, ხოლო ხვალ ფინალურ ასპარეზობაში „დინამო“ — შეიარაღებული ძალების ქალთა და ვაჟთა ნაკრებები გამოავლენენ სსრ კავშირის თასის 1983 წლის მფლობელებს. ამ დღეს კორტებზე გამოვლენ საუკეთესო საბჭოთა ჩოგბურთელები — დინამოელები ი. სალნიკოვა, ნ. ჩმირიოვა, გ. ძელდე, ს. ლეონიუკი, ვ. ხურდა, არმიელები კ. პუგაევი, ა. ზვერევი და სხვა.

გ. ცხვირაშვილი.



სურათებზე: ი. სალნიკოვა (ზემოთ) და ე. გიშიანი ასპარეზობისას.

ა. კოტორაშვილის ფოტო.



● სსრ კავშირის თასი წყალბურთში



# წინ ნახევარფინალია

**შავი** ზღვის წითელდროშოვანი ფლოტის (შწფ, სევასტოპოლი) გუნდი, როცა უმაღლეს ლიგაში გამოდიოდა, დიდ ძალას არ წარმოადგენდა და მხოლოდ ცალკეულ შეხვედრებში გამოიყურებოდა აგრესიულად. განსაკუთრებულ მონდომებას სევასტოპოლელები თბილისის დინამოელებთან მატჩებში იჩენდნენ ხოლმე და რამდენჯერმე მიზანსაც მიაღწიეს.

ბუნებრივია, თითო-ოროლა მატჩში თავის გამოჩენა გუნდს საბოლოო შედეგს ვერ მოუტანდა და ასეც მოხდა — სევასტოპოლელები უმაღლეს ლიგას გამოეთხოვნენ. გამოეთხოვნენ და გუნდი თითქმის მთლიანად გადახალისდა.

მიუხედავად ამისა, სევასტოპოლელებმა თბილისელებთან მატჩის პირველი პერიოდი ისე ჩაატარეს, რომ ვიფიქრეთ ძველებურად „ბრჭყალების“ გამოჩენას ლამობდნენ და ბოლომდე ასე შემართებით იბრძოლებენ-თქო. სტუმრები ერთხელ დაწინაურდნენ კიდეც (2:1), მაგრამ მერე ყველაფერი თავის ადგილზე დადგა და საბოლოოდ ქართველმა წყალბურთელებმა დიდი ანგარიშით — 12:6 გაიმარჯვეს.

ვინ იფიქრებდა, რომ მომდევნო მატჩში ჩვენი წყალბურთელები მოსკოველ თანაკლუბელებთან ასეთივე გამანადგურებელი ანგარიშით დამარცხდებოდნენ?

მოსკოველებთან მატჩში თბილისელებს ვერ ვცნობდით. ისინი ხშირად უმეთვალყუროდ ტოვებდნენ მეტოქეს, რომელიც პირისპირ გადიოდა ჩვენი კარის დარაჯთან. ასეთ შემთხვევაში მასპინძლებს ხშირად ისღა რჩებოდათ, რომ მოწინააღმდეგე აკრძალული ილეთით შეეჩერებინათ და, მსაჯებიც, რა თქმა უნდა, სასტვენს არ აყოვნებდნენ. პენალტი, პენალტი...

თბილისელთა შეტევისას, როცა ბურთს თითქოსდა მეტი გზა აღარ ჰქონდა, გარდა იმისა, რომ მეტოქის კარის ბადეში აღმოჩენილიყო, იგი მეკარის „საკუთრება“ ხდებოდა, ან სულაც კარს სცდებოდა.

ერთი სიტყვით, მასპინძლები მიუტევებელ შეცდომებს უშვებდნენ. მათ მხოლოდ პირველ ორ პერიოდში შეძლეს თანაბარი წინააღმდეგობის გაწევა, მერე კი...

ასეთი მარცხი თბილისელთათვის მართლაც მოულოდნელი იყო, მით უმეტეს, რომ მოსკოველებს აკლდათ გუნდის ძირითადი ბირთვი: მშვენიერაძე, გრიშინი, ევანოვი და ევდოკიმოვი. პირველი სამი მათგანი ევროპის ჩემპიონატზე გამოდიოდა, მეოთხეც მთელი სეზონი ემზადებოდა ამ დიდი ასპარეზობისთვის და მწვრთნელებმა მათი დასვენება გადაწყვიტეს, თბილისელთა გუნდში კი არ იყო მხოლოდ მეკარე — ევროპის ჩემპიონი მ. გიორგაძე.

ამ წაგების მიუხედავად მასპინძლებმა, მოსკოველ თანაკლუბელებთან ერთად, სსრ კავშირის თასის გათამაშების შემდგომი ეტაპის საგზური მოიპოვეს. მოსკოველებმა სამივე მატჩი მოიგეს, თბილისელებმა ერთით — ნაკლები.

ა. რაზველიშვილი.

● ● ●

სურათებზე: თამაშობენ მოსკოვისა და მინსკის, მოსკოვისა და თბილისის გუნდები.

გ. ახალაძის ფოტოები.



# ნიკშიჩის საერთაშორისო...

**ნიკშიჩის** (იუგოსლავია) მოჭადრაკე დიდოსტატთა საერთაშორისო ტურნირის XII ტურში კასპაროვი დაუზავდა ანდერსონს (შვეცია) და ერთპიროვნული ლიდერობა განიმტკიცა.

ლარსენი (დანია) ყაიმზე შეუთანხმდა პორტიშს (უნგრეთი), პეტროსიანი — ნიკოლიჩს (იუგოსლავია) და საქსი (უნგრეთი) — სპასკის. ტალი დამარცხდა სეირავანთან (აშშ), ივანოვიჩი — ლიუბოევიჩთან (ორივე — იუგოსლავია). გადაიდო გლიგორიჩ (იუგოსლავია) — მაილსის (ინგლისი) პარტია. თავისუფალი იყო ტიმანი (ჰოლანდია).

12 ტურის შემდეგ გ. კასპაროვს 9 ქულა აქვს, ბ. ლარსენს — 7,5. უ. ანდერსონს, ბ. სპასკის და ლ. პორტიშს — 6-6. გასამართავი დარჩა 3 ტური.

# სეზონის მიწურულს...

**ჩვენი** ქვეყნის მძლეოსნური სეზონის დამაგვირგვინებელი ასპარეზობა იყო სსრ კავშირის თასის გათამაშება, რომელიც ოდესაში ჩატარდა. ორდღიანი შეჯიბრების შედეგად საკავშირო სპორტკომიტეტის პრიზები მოიპოვეს ცსკა-ს (მოსკოვი) მძლეოსნებმა, მეორე ადგილზეა მოსკოვის ოლქის გუნდი, მესამეზე ლენინგრადელი არმიელები არიან.

ცალკეულ გამოსვლებში აღსანიშნავია მასპინძელ ნუნუ აბაშიძის წარმატება ბირთვის კვრაში — 19,65 მ, ახალგაზრდა სტაიერის ს. კისელიოვის (ჩელიაბინსკის ოლქი) გამოსვლა 5.000 მეტრზე — 13.58,41, ვილნიუსელი ბირთვის მკვრელის დ. სტუკონისის — 20,57 და იჟევსკელი სამხტომელის ვ. ბორდუკოვის — 17,28 მაღალი შედეგები.

და ბოლოს, ასპარეზობა დაამშვენა ულიანოვსკელ რ. სადრეიდინოვას მსოფლიოს ახალმა რეკორდმა ქალთა 10 კმ-ზე რბენაში — 13.27,57.

სადრეიდინოვამ მოიპოვა აგრეთვე სსრ კავშირის ჩემპიონის საპატიო სახელი, რომელიც აქვე პარალელურად გათამაშდა.

ძველი მსოფლიო რეკორდი, რომელსაც პერმელი ხ. ბარანოვა ფლობდა, წელს კრასნოდარში დამყარდა რუსეთის ფედერაციის სპარტაკიადაზე და 31.35,1 წუთს უდრიდა.

ვერცხლის მედალი ვოლგოგრადელ ო. ბონდარენკოს ერგო (31.38,64), ხოლო ბრინჯაოსი ულანუდელ ტ. პოზნიაკოვას (31.48,94) გადაეცა.

საგულისხმოა, რომ ქალები 10-კილომეტრიან რბენის სტარტზე პირველად გამოვიდნენ შარშან კიევის საკავშირო პირველობაზე და მაშინ ახლანდელი რეკორდსმენი სადრეიდინოვა მეორე საპრიზო ადგილზე აღმოჩნდა.

# რეკორდები, რეკორდები...

**ბუქარესტი.** რუმინეთის დედაქალაქში გამართულ ევროპის ჩემპიონატზე სასტენდო და ტყვიის სროლაში შესანიშნავად გამოვიდნენ საბჭოთა სპორტსმენები. სსრ კავშირის ნაკრებმა გაიმარჯვა არაოფიციალურ გუნდურ ჩათვლაში.

ტყვიის სროლაში გათამაშებული 34 ოქროს მედლიდან საბჭოთა სნაიპერებმა მოიპოვეს 18 (რვა პირად და ათი გუნდურ ჩათვლაში) და დაამყარეს 5 მსოფლიო რეკორდი. მათ მოიპოვეს აგრეთვე 5 ვერცხლისა და 7 ბრინჯაოს მედალი.

— განსაკუთრებით სასიხარულოა სამი უმაღლესი ჯილდო, რომელიც მოპოვებულია პროგრამის ოლიმპიურ სახეობებში, — უთხრა სადესის კორესპონდენტს ტყვიის სროლაში საბჭოთა კავშირის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ვ. შამბურკინმა. — ეს ჯილდოები დაიმსახურეს ა. მიტროფანოვმა (ნებისმიერ შაშხანიდან წოლელა სროლა), ვ. ლვოვმა (მცირეკალიბრიანი სტანდარტით 3X40) და ი. პუზირევმა (პისტოლეტით ჩქაროსნული სროლა).

მესტენდურეები ჯილდოების 10 კომპლექტს ეცილებოდნენ ერთმანეთს. ოქროს მედლები დაიმსახურეს ლ. შიშირინამ და ს. იაკიმოვამ, კიდევ 2 ოქროს მედალი მოპოვებულია გუნდურ ჩათვლაში, ამასთან, ვაჟთა ნაკრებმა მრგვალ სტენდზე სროლაში დაამყარა კონტინენტის ახალი რეკორდი. ჩვენმა გუნდმა მიიღო აგრეთვე 2 ვერცხლის და 3 ბრინჯაოს მედალი.

— ბუქარესტის შეჯიბრებაზე ჩვენ გავსინჯეთ გუნდის ახალი შემადგენლობა, — აღნიშნა სტენდზე სროლაში საბჭოთა კავშირის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა რ. მიკულენკომ. მებრძოლის მტკიცე და შეუვალი ბუნება, სპორტსმენის ჭეშმარიტი ხასიათი გამოავლინეს ა. ასანოვმა, ვ. ტიმოხინმა და სხვებმა.

# ევროპის ჩემპიონატი

**განახლდა** ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები ფეხბურთში. 7 სექტემბერს გაიმართა მორიგი კალენდარული შეხვედრები.

### IV ჯგუფი

აქ დაწინაურდნენ უელსისა და ნორვეგიის გუნდები. განვლილ ოთხშაბათს ნორვეგიელებმა თავიანთ მინდორზე მიიღეს ბულგარეთის ნაკრები და მარცხი განიცადეს ანგარიშით — 1:2. ანგარიში მე-5 წუთზე გახსნა ნორვეგიელმა ჰარიდემ, მაგრამ ვლადიმოვმა აღადგინა თანაფარდობა, შემდეგ კი სირაკოვმა გადამწყვეტი ბურთი გაიტანა. აღსანიშნავია, რომ ეს ბულგარელთა პირველი გამარჯვებაა თავიანთ ჯგუფში.

აქ სადღეისოდ ასეთი მდგომარეობაა:

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| უელსი | 3 | 2 | 1 | 0 | 6-4 | 5 |
| ნორვეგია | 4 | 1 | 1 | 2 | 6-6 | 3 |
| იუგოსლავია | 3 | 1 | 1 | 1 | 6-7 | 3 |
| ბულგარეთი | 4 | 1 | 1 | 2 | 4-5 | 3 |

21 სექტემბერს გაიმართება მეტად საინტერესო მატჩი ოსლოში: ნორვეგიელები მიიღებენ უელსის გუნდს.

### VII ჯგუფი

ჰოლანდიელებმა შინ მიიღეს ისლანდიის ნაკრები და საკმაოდ იოლად გაიმარჯვეს — 3:0. ბურთები გაიტანეს კოემანმა, გულიტმა და ჰოუტმანმა.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ესპანეთი | 6 | 5 | 1 | 0 | 11-5 | 11 |
| ჰოლანდია | 5 | 3 | 1 | 1 | 12-3 | 7 |
| ირლანდია | 5 | 2 | 1 | 2 | 7-7 | 3 |
| ისლანდია | 5 | 1 | 1 | 5 | 3-10 | 3 |
| მალტა | 5 | 1 | 0 | 4 | 4-12 | 2 |

### სპორტულ ბაზებზე

**ფეხბურთი. საქართველოს ჩემპიონატი. 10 სექტემბერი.** სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სტადიონი. **პოლიტექნიკური ინსტიტუტი (თბილისი) — „სამგორი“ (გარდაბანი).** დასაწყისი 16 ს., ოქროყანის სპორტული ბაზა. **ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — „ავტომობილისტი“ (თბილისი).** 17 ს. 30 წ. **11 სექტემბერი.** „ლოკომოტივის“ ბაზა დიღომში. **„ლოკომოტივი“ (თბილისი) — „არმაზი“ (მცხეთა).** 17 ს., გ. დიმიტროვის სახ. საავიაციო ქარხნის სტადიონი. **„შევარდენი“ (თბილისი) — „თორი“ (ბორჯომი).** 17 ს., „ლოკომოტივის სტადიონი. **„სპარტაკი“ (თბილისი) — „ალაზანი“ (გურჯაანი). 17 ს.**

რედაქტორი ა. ბასილაია.

„ბურევესტნიკის“ ბავშვთა და მოზარდთა ფარიკაობის რესპუბლიკური სპორტული სკოლა „გორდა“ 1983-84 სასწავლო წლისათვის

ᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑᲡ

1970-75 წლებში დაბადებულ მოსწავლეთა მიღებას.

სექციები იმუშავებენ თბილისის საშუალო სკოლებისა და „ბურევესტნიკის“ სპორტული კომპლექსის ბაზებზე.

მსურველებმა უნდა წარმოადგინონ: განცხადება და ცნობა ჯანმრთელობის შესახებ.

საბუთების მიღება და სანორმატივო გამოცდები ჩატარდება 20 სექტემბრამდე, ყოველ დღე 10-12 და 15-18 საათებში.

დაწვრილებითი ცნობებისათვის მიმართეთ თბილისი: უნივერსიტეტის ქ. № 4, „ბურევესტნიკის“ ცენტრალური სპორტული კომპლექსი. ფარიკაობის ბავშვთა და მოზარდთა სპორტული სკოლა. ტელეფონი 31-70-99.

ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ ᲧᲝᲕᲔᲚᲓᲦᲔ, ᲒᲐᲠᲓᲐ ᲝᲠᲨᲐᲑᲐᲗᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲞᲐᲠᲐᲡᲙᲔᲕᲘᲡᲐ. ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“ ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99-56-47, 93-97-59; პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71 93-97-56; მასობრივი ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-55; სპორტის პროპაგანდის — 93-97-51; მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93-97 53; კადრების — 93-97-26; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამომშვები — 93-93-81; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; მემანქანეები — 93-97-57.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲞ ᲪᲙ-ᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲚᲝᲑᲘᲡ ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲬᲘᲗᲔᲚᲘ ᲓᲠᲝᲨᲘᲡ ᲝᲠᲓᲔᲜᲝᲡᲐᲜᲘ ᲡᲢᲐᲛᲑᲐ, 380096, ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ — 96, ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ Ქ. № 14. ᲘᲑᲔᲭᲓᲔᲑᲐ ᲝᲤᲡᲔᲢᲣᲠᲘ ᲬᲔᲡᲘᲗ ᲡᲐᲒᲐᲖᲔᲗᲝ ᲙᲝᲠᲞᲣᲡᲨᲘ. ᲮᲝᲨᲐᲠᲐᲣᲚᲘᲡ. 29. ИНДЕКС 66435 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 უე—07768